ცნობის ფურცელი

№ 1923 პარასკევი, 13 სექტემბერი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1923

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელ ზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

რედაქციისაგან

გავახსენებთ „ცნობის ფურცელ“-„მოამბის“ ხელის მომწერთ, რომ დააჩქარონ დარჩენილ ხვედრი ფულების შემოტანა.

1-ლ ოქტომბრიდან **გედევანიშვილის სავადმყოფოსთან არსდება მასსაჟისა და სამკურნალო გიმნასტიკის კურსები**. სასწავლებელი საგნები:

ანატომია / ფიზიოლოგია; — ექიმები: გ. ვ. სობოლევსკი, ე. გ. ფელდოროვი

მასსაჟის თეორია და ტეხნიკა / პრაქტიკული მეცადინეობა — ექიმები: ა. გ. მალალაშვილი, გ. ვ. სობოლევსკი

კურსებზე ქალებიცა და კაცებიც მიიღებიან. სწავლის ფასი (ოთხის თვის კურსი) 30 მანეთია. (0—3)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ჰ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფებისათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. ზ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვების და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

გ. გ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვების: სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 კვირაობით 9—10.

ა. ზ. ბარხუკოვი—ქალ-თა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათამდე.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანის და საშარდეს 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—ქალ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

ა. გ. მალალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით კრაოტები—სამი მანათიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (აგჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274. (წლ.)

ექიმი

ნ. ც. მულინი

იღებს ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 11—1-დე. საღამოთი 4—6-მდე. სუდებნი ქუჩა, სახლი № 30.

ქართულ ოჯახში

საჭიროა

ამზრდელი

ქართველი ქალი, მცოდნე ფრანგული ენისა.

ადრესი: ვარანცოვის ქუჩა № 63, იკითხეთ სკოლის გამგე. (3—2)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მალალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდი და საღამოთი 4—5-მდი.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

ინგლისი. წარსულ სამშაბათს პირველ მინისტრმა ლორდონ სპრიგმა გამოაცხადა კაპის პარლამენტში, ხვალიდან კოლონიაში სამხედრო წესები გაუქმდებაო.

ინგლისელ ლოიალისტების, ან როგორც ბოლოს დროს ეძახიან, „პროგრესისტების“ წარმომადგენელმა სმარტმა ჰკითხა პირველ მინისტრს: რაკი სამხედრო წესები ისპობა, მთავრობა ახალ კანონს ხომ არ წარმოუდგენს პარლამენტს იარაღისა და სამხედრო მასალის შემოტანისა და შენახვის თაობაზეო? სპრიგმა უპასუხა, არაო და დაუმატა: ეგეთი კანონი არაა საჭირო, რადგანაც ეხლა ძველ, 1878 წელს გამოცემულ კანონს ექნება ძალაო.

„პროგრესისტები“ ცდილობდნენ კაპის კოლონიაში კონსტიტუცია დროებით გაეუქმებინათ და რაკი ვერას გახდნენ, ეხლა ცდილობენ, მთავრობას აფრიკანდერების წინააღმდეგ სასტიკი კანონები მაინც გამოაცემინონ. სმარტს უთქვამს პირველი მინისტრისათვის: ისეთი კანონი მაინც გამოიცეს, რომ მთავრობას მეტი უფლება მიენიჭოს გამცემლებთანა და მეამბოხეებთან საბრძოლველად და ბოიკოტისა და მუქარის შეთვლის ასაკრძალავადაო. სპრიგს ამაზედაც უარი უთქვამს: ეხლანდელი კანონიც საკმაოა, მით უმეტეს, რომ ერთის გარდა, ყველა სხვა მოსამართლეები გვატყობინებენ, ყველგან მშვიდობიანობა ჰსუფევსო.

„დეილი ნიუზ“-ი სიხარულს აცხადებს კაპის კოლონიაში სამხედრო წესების გაუქმების გამო და თან იხსენიებს, სამხედრო წესებმა არამც თუ ბურები ვერ შეაშინა და ომი ვერ მოსპო, პირიქით, ჰოლანდიელი კოლონისტები ხელ-მეორედ ააჯანყა და ომიც უფრო გააჭიანურაო. ეს ამბავი თვით მთავრობამაც აღიარა, როცა მაისში ლურჯ წიგნში ოფიციალური დოკუმენტები გამოაცხადაო.

საფრანგეთი. კონგრეგაციების სკოლების დახურვის დროს ბევრი უცნაური ამბავი მოხდა სოფლებში; ყველამ ძალა-უნებურად ყურადღება მიაქცია საფრანგეთის გლეხ-კაცობასა, იმის გონებით განვითარებასა და ეკონომიურ ყოფას. „რუსკია ვედომოსტი“-ს პარიზელი კორესპონდენტი საინტერესო ცნობებს იწერება ამის თაობაზე. კორესპონდენტი სწერს:

„კლერიკალების აგიტაციამ ყველას ძალა-უნებურად გლეხ-კაცობისაკენ მიახედვინა. სოფელი მუდამ ყოველი რეაქციის ბურჯი და ფარი იყო. ბრეტანში, ვილდეიაში და სხვა მივარდნილ ადგილებში სოფლელები ეხლაც დიდ დახმარებას უწევენ კლერიკალებს. დანარჩენ საფრანგეთში კი გლეხ-კაცობა ამ 25 წლის განმავლობაში, თავისუფალი წესების წყალობით, ძლიერ განვითარდა პოლიტიკურად. ასე რომ ეხლა თითონ კლერიკალებსაც კი აღარა აქვთ მაგრე რიგად იმისი დახმარების იმედი. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ეს არის ეხლა გამოცემული ბროშიურა ვინმე დე-ლა-გარდისა: „ჩვენი გლეხ-კაცები“. ბროშიურის ავტორი, ეტყობა, გულ-მოდგინე კათოლიკეა; თავის დასის სასარგებლოდ სოფლებში სამეურნეო სინდიკატები უმართავს; ათი წელიწადი უშრომნია სოფლებში და რაც უნახავს და გამოუცდია, ეხლა ყველაფერს მკითხველებს უზიარებს.

დე-ლა-გარდი კარგს არასა სწერს სოფლელებზე: ბრიყვები, გულ-ღრძო, ეჭვიანი და მეტად სათავისო ხალხიაო; საზოგადო საქმე აინუნშიაც არ მოსდით და უწინდებურად ისევ ცრუ მორწმუნეობით სავსენი არიანო. ხომ ეს ეთები არიან, მაგრამ სამღვდელოების ბატონობისაც-კი ძლიერ ეშინიანთ და რასაც კი კლერიკალების გაძლიერება შეუძლიან, ძლიერ ერიდებიანო. დე-ლა-გარდი ამბობს: „ჩვენ გლეხ კაცებს ღმერთი სწამთ, მაგრამ ღვთის მსახურნი—მღვდელი, ეპისკოპოსი და პაპი კი მაგდენათ ჭკუაში არ მოსდით“.

დე-ლა-გარდი სწერს: „მღვდლებისა და კლერიკალების გარდა, გლეხ-კაცებს ადგილობრივ მოხელეებისაც ეშინიანთ და ყველაფერს, რაც-კი ამ მოხელეებს არ მოსწონთ, გლეხ-კაციც ერიდება; მომეტებულ ნაწილად ისეთს გაზეთებს ჰკითხულობს, რომლებიც მთავრობას თანაგრძნობით უყურებენ. რაც უნდ უბრალო საზოგადოება იყოს, თუ კი ცოტათი მაინც ოპოზიციის ფერი ადევს, გლეხ-კაცს ჭკუაში აღარ მოსდის და იმის წევრად არას დროს არ გახდება. ერთის სიტყვით, გლეხ-კაცს ეხლანდელი მთავრობისაც ისე ეშინიან, როგორ უწინდელებისა.

ეს უსაზღვრო შიში მეტად ხელს უშლის თურმე კლერიკალების მოქმედებას.. რად ეშინიანთ სოფლელებს ასე მთავრობისა? ეს სულ წინანდელ მთავრობის ბრალია: უწინ მთავრობაცა და სამღვდელოებაც ერთ თავად ჩასძახოდნენ ხალხსა: უფროსებისა გეშინოდესო. ეხლა კი კლერიკალები თითონვე უჩივიან გლეხ-კაცს, მთავრობის შიშით ხმა ვერ ამოუღია სარწმუნოების დასაცველადაო.

მესამე რესპუბლიკის დროს საფრანგეთის გლეხ-კაცობამ შეიგნო, რომ საერო სკოლა ბერების სკოლას სჯობიაო და თვით ბრეტანშიაც კი, როცა უნდათ კაი განათლება მისცენ ვაჟსა, უსათუოდ საერო მასწავლებელთან ჰგზავნიან; მონოზნებთან კი მარტო ქალებს აძლევენ გასაზრდელად. კლერიკალებმაც კარგად იციან ესა. ამიტომ ბრეტანსა, ვანდეიასა და ოვერნში, ერთის სიტყვით, ყველგან, სადაც შეუგნებელი ხალხი სცხოვრობს, უფრო სავაჟო სკოლებს ჰხსნიან; საქალებო სკოლებს კი ჰმართავენ ყველგან, სადაც კი კლერიკალებს ვინმე მემამულე ქალი, ან გამდიდრებული მედუქნე ჰყავთ შემწედ. გლეხ-კაცობამ შეიგნო აგრეთვე, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს საზოგადო და პროფესიონულ განათლებას და დიდის ხალისით დაიარება სახალხო კითხვებზე და საერო ლექციებზე. ერთის სიტყვით, სკოლა თან-და-თან თვალსაჩინო ადგილს იჭერს სოფლის ცხოვრებაში.

კლერიკალებს და მელინისტებს დღესაც დიდი იმედი აქვთ მესაკუთრე გლეხ-კაცების კონსერვატორობისა, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ საფრანგეთში ძალიან ცოტა დარჩა შეძლებული მესაკუთრე გლეხი. ძლიერ ცოტას-ღა შეუძლიან თავის მამულის ანაბარა იცხოვროს. გლეხ-კაცების მომეტებული ნაწილი კი ძლიერ ღარიბია. ესენი მემამულეების მიწებს იღებენ სანახევროდ, ან სულაც დღიურად მუშაობენ. ამისთანა ხალხი, რასაკვირველია, ყოველ დღე ჰხედავს, თუ რა დიდი განსხვავებაა იმათსა და მსხვილ მემამულეებს შუა; ესენი დიდი ხანია ჩივიან მემამულეების სიძუნწესა და გულ-ქვაობაზე, უჩივიან აგრეთვე საფრანგეთის მთავრობასაც, სულ არ გვიგდებს ყურსა და ერთს სამართლიან კანონს არ გამოსცემს ჩვენს სასარგებლოდაო.

თითონ მამულის პატრონი გლეხ-კაცებიც კი სულაც არ არიან ისეთ კაი ყოფაში, როგორც ზოგიერთი მწერლები სწერენ. მართალია, მოზრდილი მამულები აქვთ, მაგრამ ეს მამულები რამდენჯერმე დაგირავებული და გადაგირავებულია. ამისთანა მამულის პატრონი უფრო იჯარადარსა ჰგავს: უმეტესი ნაწილი თავის შემოსავლისა და თვით თავის სამუშაო ფასისაც კი თავის მოვახშე-მოვალეს უნდა მისცეს. ფრანგი ეკონომისტი ფლურ დე-სენ-დენი სწერს: 1900 წელს მიწის მესაკუთრეებს ასში ოთხს ვერა ჰნახავდით, რომ თავისი მამულის შემოსავალს თითონვე ჰხმარობდეს; მომეტებული ნაწილი ფულის პატრონებს ემსახურებიან და ქალაქის მუშებზე უფრო ცუდ მდგომარეობაში არიან. ყველა ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ კლერიკალებსა და მონარქისტებს ტყუილი იმედი-ღა აქვთ გლეხ-კაცების დახმარებისა: თითონ ეხლანდელი ეკონომიური პირობანი აფრთხილებენ და თვალებს უხელენ გლეხ-კაცობას. მართლაც სოფლის ხალხმაც პოლიტიკურ დაუდევნელობაზე და პირლიაობაზე ხელი აიღო, თავისი მტრები და მოყვარეები გაარჩია და სცნა, რომ ხალხისთვის გული მარტო დემოკრატიულ პარტიას შესტკივა. ამიტომ გლეხ-კაცობა თავის მხრივაც უფრო-და-უფრო დიდ დახმარებას უწევს ამ პარტიას“.

შეერთებული შტატები. „რეიტერის სააგენტო“-ს სწერენ ნიუ-იორკიდან: გავლენიან სენატორებს ჰანნას, ლოჯს და სხვებს წარსულ კვირას ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული პრეზიდენტ რუზველტთან და გადაწყვიტეს,—ტარიფების რეფორმას დროებით თავი დავანებოთ, ტრესტების წინააღმდეგ ბრძოლა განვაგრძოთ და ბეჯითად მოვითხოვოთ, რომ კუნძულ კუბას უფრო შეღავათიანი სადამოჟნო პირობით შევეკრათო.

◆ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ჰენდერსონმა გამოაცხადა: შტატ აიოვაში კონგრესის წევრის არჩევანის დროს აღარ ვიყრი კენჭსაო, რადგანაც ჩემ ამომრჩევლებს სადამოჟნო ტარიფის შეცვლა სწადიანთ, მე კი დიდი ბაჟების მომხრე ვარო.

ბოლგარია. მთავრობამ ამას წინად მაკედონიის კომიტეტის წევრები გენერალი ცონჩევი და პოლკოვნიკი ნიკოლაევი დაატუსაღა და ბოლგარიიდან განდევნა. ამის თაობაზე ქალ. სოფიაში დიდი კრება მოუხდენიათ და მთავრობისათვის პროტესტი გამოუცხადებიათ. კრებას მთავრობის სასტიკი ქცევა გაუკიცხავს და განდევნილი გენერლების დაბრუნება მოუთხოვნია. კრების დადგენილ რეზოლიუციაში ნათქვამია: ჩვენი მთავრობა ბოლგარიის ინტერესების წინააღმდეგ იქცევაო. ბოლოს რეზოლიუცია სთხოვს მთავარს: მთავრობის პოლიტიკა ბოლგარიის ერის იდეალებს არღვევს და ამიტომ ამისთანა პოლიტიკაზე უსათუოდ ხელი უნდა აღებინოთ მთავრობასაო.

ახალი ამბავი

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნილებისა გამო, ტფილისის **გუბერნატორს მოუთხოვია** ყველა იმ საქველ-მოქმედო საზოგადოებისგან, რომელსაც თავ-შესაფარი აქვს გამართული, რომ თავ-თავისი წესდება წარუდგინონ. როგორც აღმოჩნდა, ზოგ ამისთანა საზოგადოებას სრულებით არ ჰქონია წესდება, მაშინ როდესაც მოქმედების ნება-რთვა ხელში აქვს.

✦ ამ რამდენისამე დღის წინად კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს ამავე საბჭოს წევრმა ბ-ნმა ა. ბ. ევანგულოვმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა იმის შესახებ, რომ საზოგადოებასთან დაარსებულ იქმნას **მეღვინეობისა და მევენახობის განსაკუთრებული კომიტეტი**. ევანგულოვი მოხსენებაში, სხვათა შორის, ამბობს, რომ საბჭო ვერ ასწრებს ყველა საქმის განხორციელებას და ამიტომ არის საჭირო კომიტეტის დაარსებაო. ეს განცხადება საბჭომ განიხილა 10 სექტემბერს, მიიღო იგი და გადასწყვიტა კომისიის ამორჩევა წესდების შესადგენად. ამ წესდებასთან ერთად საბჭო განიხილავს წინად შემუშავებულ მეღვინე-მევენახობისა და მეაბრეშუმე მეფუტკრეობის კომიტეტების წესდებებს. კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ თავ. ს. რ. ვახვახიშვილი, ა. ა. ქალანთაროვი, ვ. ი. რცხილაძე, ს. დანდუროვი და ვ. გ. ბერელაშვილი.

✦ ოთხშაბათს, 11 სექტემბერს, საგუბერნიო საექიმო სამმართველოში, ექ. ქიქოძის თავმჯდომარეობით **სხდომა იყო გამართული** ტფილისის მეაფთიაქეთა და საფთიაქო საქონლით მოვაჭრეთა. როგორც ამას წინად გვქონდა დაბეჭდილი, ამ საბჭოს უნდა შეემუშავა პასუხი იმ საკითხებზე, რომელნიც სამინისტროსაგან იყო გამოგზავნილი. ქვემო მოყვანილი საკითხები იმას გამოუწვევია, რომ აფთიაქების პატრონებსაგან ბევრი საჩივარი მისდიოდა თურმე სამინისტროს საფთიაქო საქონლით მოვაჭრეებზე.

ვინაიდან მეაფთიაქეთა მოქმედება კანონში მტკიცედ არის განსაზღვრული და მოვაჭრეთა შესახებ-კი კანონი არას ამბობს, არის მხოლოდ რამდენიმე ცირკულიარი, ამიტომ სამინისტრომ, მოითხოვა შეიმუშავეთ შემდეგი საკითხებიო: ა) ვის უნდა მიეცეს ნება საფთიაქო საქონლით ვაჭრობისა? ბ) შეუძლია თუ არა, საფთიაქო მაღაზიის პატრონს თავისს მაგიერ სხვა კაცი მოიწვიოს მაღაზიის მმართველად? გ) ვინ უნდა დართოს მაღაზიის გახსნის ნება? და დ) ვის დაევალოს ამ მაღაზიების კონტროლი და საზოგადოდ თვალ-ყურის გდება?

ბევრი არჩიეს და ბოლოს ეს დაადგინა საბჭომ: ა) საგუბერნიოსა და დიდს ქალაქებში საფთიაქო მაღაზიების გახსნის ნება მხოლოდ პროვიზორებს მიეცეს; ხოლო სხვა ადგილებში—დანარჩენ ფარმაცევტებს. ბ) მაღაზიები მხოლოდ პატრონთა ხელ-მძღვანელობის ქვეშ უნდა იყოს და ამისათვის სხვისი მოწვევა არ შეეძლოს. გ) მაღაზიების გახნის ნება-რთვა საექიმო სამმართველოს მიენიჭოს; ამანვე უნდა მოსთხოვოს პატრონს, რომ მაღაზიის სადგომი და სხვა პირობები სწორედ ხელს უწყობდნენ მაღაზიის დანიშნულებას და დ) მაღაზიების მოქმედების კანტროლი საექიმო სამმართველოს მიენიჭოს.

საბჭომ ისიც დაადგინა, ვსთხოვოთ მთავრობას მაღაზიის პატრონებსაც საფთიაქო წესდებით მოსთხოვონ მოვალეობის ასრულება და იმათაც ისეთივე პასუხი მოეთხოვოს‘ როგორც აფთიაქის პატრონებს: შენიშვნის მიცემა, მეორედ დანაშაულობისათვის—სასამართლოში მიცემა, მესამედ—დროებით მაღაზიის დაკეტვა და მერე—სულ ერთიანად დახურვა ისე, რომ სხვა ადგილასაც არ მისცენ მაღაზიის გახსნის ნება.

აღნიშნულია ერთი გარემოება: კრებაზე მოწვეულნი იყვნენ მხოლოდ ზოგი აფთიაქის პატრონნი და მხოლოდ „საფთიაქო საქონლით მოვაჭრე კავკასიის ამხანაგობის“ წარმომადგენელი—მეტი არავინ, მაშინ როდესაც ტფილისში ბევრია კარგად განვითარებული პროვიზორებიცა და მაგისტრი-ფარმაცევტებიც. ამათ რაღა დააშავეს, რომ კრებაზე არ მიიწვიეს?..

✦ როგორც ფოთიდან გვატყობინებენ, **გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი** ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ფეხის სიმსივნის გამო ავად არის.

✦ თელავისა და ახალციხის ქალაქის სამმართველოებმა ამას წინად სთხოვეს საგუბერნიო მთავრობას, ნება მოგვეცით **საავადმყოფოები გავხსნათ**, მაგრამ ისე რომ მასთან ერთად აფთიაქის გახსნის ნებაც გვქონდეს, რომ ამის შემოსავლით საავადმყოფოს ხარჯი აღვადგინოთო. საგუბერნიო მთავრობამ არ შეიწყნარა ასეთი სათხოვარი, რადგან თელავშიაც და ახალქალაქშიაც არსებული აფთიაქები საკმარისად მიაჩნიათ და ახალის გახსნა არ შეიძლებაო. ახლა ორივე ქალაქი თხოულობს, მარტო საავადმყოფოს გახსნის ნება მოგვეცით, იმ პირობით კი, რომ სამაზრო ექიმს ნება ჰქონდეს იქ მუშაობისა. ექიმებმა სრული თანხმობა გამოაცხადესო.

✦ ტფილისის **ოლქის სასამართლოს სესია** ქალ. ახალქალაქში მიემგზავრება 22 სექტემბერს და დარჩება იქ 30 სექტემბრამდე.

✦ მეტეხის საპატიმროს მღვდელს ჯავაშვილს განუზრახავს **საპატიმროში საკვირაო სკოლის დაარსება**. მ. ჯავაშვილს შუამდგომლობა ამის შესახებ უკვე აღუძრავს.

✦ გუშინ **ერევნის** ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას გაუგზავნოს ცნობები ქალაქის ხორცის დუქნების დაარსების შესახებ.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსის თანაშემწე ბ-ნი კარმილევი 11 სექტემბრიდან შეუდგა ტფილისის ფოსტა ტელეგრაფის კანტორის **რევიზიას**.

✦ პირველ ნაწილის **ამომრჩეველნი კიდევ უნდათ შეიკრიბნენ**, რომ საბოლოოდ გადასინჯონ ამ ნაწილისაგან დასახელებულ ხმოსანთა სია და ერთს გზას დაადგნენ მომავალ არჩევნების დღეს. კრება დანიშნული აქვთ 15 სექტემბერს.

✦ გუშინ ქალაქის **სასკოლო კომისიას სხდომა ჰქონდა**, რომელზედაც გაარჩიეს სწავლა-განათლების გამავრცელებელ დაწესებულებათა (ბიბლიოთეკებისა, სახალხო საკითხავებისა და სხვ.) სათხოვარები. ესენი სთხოვდნენ კომისიას ფულით დახმარებას· კომისიამ თანაგრძნობით მოისმინა ეს სათხოვრები და დაადგინა, ვსთხოვოთ ქალაქს ყველა სათხოვარი დაკმაყოფილებული იქმნეს და ამისათვის საჭირო ფული მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოსო.

✦ საგუბერნიო საექიმო მმართველობამ მისწერა სიღნაღის მაზრის სოფლის ექიმებს, გამოიკვლიეთ, **რა მიზეზით არ უმოქმედნია** ყმაწვილებზე აცრილ ყვავილს, რომელსაც სოფელში დანიშნული ამცრელები უცრიდნენო.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, რომ სულით-ავადმყოფთა **თავშესაფარისთვის ახალი შენობა** იქმნას აგებული.

✦ ავლაბარში ვაჭარის ალი-მაჰმედ-ბაირამ-ოღლის საკლავ საქონელს რაღაც საეჭვო ავადმყოფობა გასჩენია. სასანიტარო ინსპექტორმა სხვა ექიმებთან ერთად გუშინ წინ, 11 სექტემბერს, გამოიკვლია ეს ავადმყოფობა, მაგრამ ჯერ ვერავითარს გამორკვეულს აზრებს ვერ დაადგა. ჰფიქრობენ მხოლოდ, რომ **საქონელი ჭირით** უნდა იყოს ავად.

✦ ვერაზე საბურთალოს მცხოვრებთათვის სასულიერო მთავრობამ დააარსა საეკლესიო **სამრევლო სასწავლებელი**. სასწავლებელი ორს განყოფილებას შეიცავს, ერთს ქალებისა, მეორეს ვაჟებისთავის. წელს მიიღეს სასწავლებელში 62 მოსწავლე, ამათგან 29 ქალია.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა დაავალოს ქალაქის მიწის მზომელს ავლაბარში **სავის სოფლის გამიჯვნა** და გეგმის შედგენა.

✦ დეკან. ლაზარე ტურიაშვილმა და იმისმა ასულმა ალექსანდრა ჩიქოვანისამ 15 მანეთი გადასცეს „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრ.“ საზოგადოების გამგეობას. ეს ფული რამე საკეთილო საქმეს უნდა მოხმარდეს ახლად **გარდაცვალებულ ექიმის საკაშვილის** ხსოვნის პატივსაცემად.

✦ გურიიდან გვწერენ: ოზურგეთის მაზრის სამრევლო სკოლების მეთვალყურე მღ. დიომიდე შილაკაძე თავს ანებებს მეთვალყურის თანამდებობას. მამა შილაკაძე ერთი წელიწადია, რაც ამ თანამდებობას ასრულებს და ამ მცირე ხნის განმავლობაშიაც მოასწრო დაემსახურნა სახელი „საქმის“ კაცისა. დღეს გურიაში 30-მდე სრულიად უზრუნველ-ყოფილი სამრევლო სკოლაა. 20-მდე განაჩენია საზოგადოების მიერ დადგენილი, რომ ისინი უზრუნველ ჰყოფენ სკოლებს. სამრევლო სკოლის მასწავლებელნი დიდად სწუხან, რომ მამა შილაკაძე მეთვალყურის თანამდებობას თავს ანებებს.

✦ 1898 წელს ქალაქის გამგეობაში საქმე აღიძრა იმის შესახებ, რომ ვაჭარმა ვეტცელმა მე-10 ნაწილში წყლის პირის ქუჩაზე მიითვისა რამდენიმე საჟენი ქალაქის მიწა. რადგანაც ეს საქმე დღევანდლამდე არ გამორკვეულა, ვეტცელს გუბერნატორისათვის მიუმართავს და უთხოვნია, დაავალეთ გამგეობას აღნიშნული საქმე საბოლოოდ გადასწყვიტოსო. გუბერნატორიც ამ საქმის გამო ორჯელ შეეკითხა გამგეობას, რომელიც მხოლოდ 11 სექტემბრის სხდომაზედ შეუდგა ამ საქმის განხილვას. გამგეობამ გადასწყვიტა დანიშნოს ამ საქმისათვის განსაკუთრებული ხდომა 18 სექტემბრისათვის და მოიწვიოს ქალაქის იურისკონსულტი, მდივანი და ამ საქმეში დაინტერესებული მემამულენი.

✦ ტფილისის ებრაელთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას, რომ წარსულ წლებსავით ებრაელთა სკოლას წელსაც აღმოუჩინოს 300 მან. შემწეობა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობა აპირობს სოფ. ჯანდარში გამართოს თავლები საკლავ საქონლისათვის. ამას წინად ქალაქის გამგეობა შეეკითხა გუბერნიის საბეითალო ინსპექტორს ნებას მისცემს თუ არა, რომ საქონელი ჯანდარიდან გზა ტკეცილით მორეკონ ხოლმე ქალაქში. ინსპექტორმა შეატყობინა გამგეობას, რომ საქონელი უსათუოდ რკინის გზით უნდა გადმოიყვანონ ხოლმე ჯანდარიდანაო.

✦ ბ-ნი კორმილევი, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის უწყებათა დასათვალიერებლად ჩამოვიდა ტფილისში, ხვალ ტფილისიდან პეტერბურგს მიდის.

✦ გაზ. „კასპი“-ს მე-197 ნომერში შემდეგი წერილია დაბეჭდილი:

„ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში დაბეჭდოთ შემდეგი: ჩემსა და გაზ. „ბაკინსკია იზვესტია“-ს ნამდვილ გამომცემელთა ბ.ბ. ხაჩატუროვსა და დ-რ ახუნდოვს შორის უთანხმოებისა გამო, რომელიც ბ-ნ ხაჩატუროვის მხრით სისხლის სამართალსაც-კი უახლოვდება, მე თავი დავანებე და გამოველ ამ გაზეთის თანამშრომელთა ჯგუფიდან და ბ-ნ ხაჩატუროვის წინააღმდეგ სასამართლოში საქმე დავიწყე. იუზეფ შვამბაუმი—დრევნიცკი“.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ეკატერინოდარის ქალაქის გამგეობას და სთხოვა აცნობოს, არის თუ არა ამ ქალაქში ახლად გამოგონილის „აგურის კუბიკებით“ მოკირწლული ქუჩები; თუ არის—რა ჯდება ქუჩების მოკირწვლა, რამდენად გამძლეა ეს „კუბიკები“ და ივარგებს თუ არა ისეთს ადგილებში, სადაც ნოტიო ჰავაა, როგორც, მაგალითად, ქუთაისში. ქალაქის გამგეობას ჰსურს გაიგოს, მოსახერხებელი იქნება თუ არა ამგვარის კუბიკებით ტფილისის ქუჩის მოკირწვლა.

— ქუთაისის ქალაქის გამგეობამ დეპეშით სთხოვა პეტერბურგში მყოფს თავ. ნ. ყ.

ფელეტონი

უცხოეთის ცხოვრება

3.

სასოფლო მეურნეობა გერმანიაში

მიწათ-მოქმედება და მრეწველობა.—მეცნიერება და მეურნეობა.—მიწის გასუქება-განოყიერება.—სამეურნეო იარაღი.—სოფლის ნაწარმოების რაოდენობა.—მოსავალი გერმანიასა, საფრანგეთსა და რუსეთში.—რატომ არა ჰყოფნის გერმანიას სასოფლო ნაწარმოები?

გერმანელ აგრართა წრეს-გადასულმა მადამ ერთი სარგებლობა მოიტანა. იმათმა პროექტმა სასოფლო ნაწარმოებზე ბაჟის მომატების შესახებ ყველანი დააფაცურა და დააინტერესა. შეუდგნენ სასოფლო მეურნეობის კვლევა-ძიებას. აგრარებთან ერთად ამ საქმეს იმათმა მოწინააღმდეგებმაც მოჰკიდეს ხელი და, ბოლოს, დაინტერესებულ საზოგადოებას გადაუშალეს სრული სურათი მეურნეობის განვითარებისა და წარმატებისა. ამ სჯა-კამათმა დიდი ყურადღება მიიქცია გერმანიის გარედაც. სხვათა შორის ახალ საბაჟო პროექტისა და გერმანიის სასოფლო მეურნეობის შესახებ რუსულ ჟურნალ-გაზეთებშიაც დაიბეჭდა და დღესაც იბეჭდება წერილები. გვსურს ვისარგებლოთ ამ წერილებით და მოკლედ, რასაკვირველია, გავაცნოთ მკითხველებს ის, თუ რა გააკეთა და რას მიაღწია სასოფლო მეურნეობამ გერმანიაში.

უპირველესს ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ სასოფლო მრეწველობა გერმანიაში თავის ნაყოფიერებითა და ნაწარმოების ღირებულობით არ ჩამოუვარდება საქარხნო მრეწველობას. ამ ოცის, ოცდაათის წლის განმავლობაში გერმანიის მრეწველობა-ვაჭრობა დიდ და საოცარ წარმატებას ეღირსა. მაგრამ იმას არც სასოფლო მეურნეობა ჩამორჩა. გერმანიის საქარხნო მრეწველობა მსოფლიო ბაზარზე დღეს თუ ინგლისის საუკუნოებით ზურგ-გამაგრებულ მრეწველობას უწევს მეტოქობას, იმისი სასოფლო მეურნეობა კიდევ ყველა სხვა სახელმწიფოს მეურნეობაზე (ევროპაში) მაღლა სდგას. საუკეთესო ეკონომისტთა და სტატისტიკოსთა გამოანგარიშებით, გერმანიის მიწათ-მოქმედება წელიწადში 4 მილიარდ მანეთის ნაწარმოებს ამზადებს. ამდენსავე ამზადებს საქარხნო მრეწველობა. სწორედ აი ამ თანასწორობით აიხსნება სიმწვავე ბრძოლისა, ორ მოწინააღმდეგე ბანაკს შორის ახალ სადამოჟნო პროექტით გამოწვეული. შეიტაკნენ თანასწორნი ძალნი: არც ერთი არ უთმობს, არც მიწათ-მოქმედება და არც მრეწველობა.

სასოფლო მეურნეობის განვითარება გერმანიაში სრული ნაყოფია თანამედროვე მეცნიერებისა. სოფლის მეურნემ მეცნიერების აღმოჩენანი და გამოკვლევანი ისევე კარგად და მშვენივრად გამოიყენა, როგორც ქარხნის პატრონმა. ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია,—აი ის სამი დარგი მეცნიერებისა, რომელმაც წინ წასწია და ააყვავა მიწათ-მოქმედება. პირველმა აღმოაჩინა და დაამზადა ისეთი ნივთიერებანი, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი შეიქმნა ძალა-გამოლეულ მიწის განოყიერება და გასუქება, მეორემ მანქანებისა და ელექტრონ-ორთქლის საშუალებით გააუმჯობესა და გააადვილა მიწის დამუშავება, ხოლო მესამემ არა თუ გააუმჯობესა ძველ სასარგებლო მცენარეთა ჯიში, არამედ ახალიც გააჩინა. საზოგადოდ-კი მეცნიერება განუშორებელი თანამგზავრია სასოფლო მეურნეობისა გერმანიაში. თვით უმნიშვნელო საქმეშიაც-კი (მაგალითად, კვერცხის მოვლა-შენახვა, კარტოფილის თესვის გაუმჯობესება) სოფლის მეურნე უპირველეს ყოვლისა თეორიულ კვლევა-ძიებას უნდება, ამასთან იშველიებს მათემატიკას, ქიმიას, ფიზოლოგიას და სხვას.

უმთავრესი მიწის გასუქება-განოყიერებაა და გერმანიაც დღემდე ყველაზე მეტ ყურადღებას სწორედ ამას აქცევდა. ჩვენებური მეურნე, მით უმეტეს უბრალო მკითხველი, ვერც კი წარმოიდგენს, გერმანია რაოდენ ფულსა ჰხარჯავს მიწის გასუქება-განოყიერებაზე: წელიწადში გერმანიის მიწათ-მოქმედება ამ საქმეს თითქმის ერთ მილიარდ მანეთს ანდომებს. რა არ გამოიყენა და არ მოიხმარა მეურნემ მიწის გასაუმჯობესებლად! „ფასფორიტი“, აზოტიანი ნივთიერებანი, კალი, გვარჯილა და სხვა-და-სხვა. ის, რაც წინად ქარხნებში ნაგვად ითვლებოდა, სოფლის მეურნეობამ მიწის სასუქად გამოიყენა. აქ არ გამოუდგებით იმ ნივთიერებათა ჩამოთვლას, რომელსაც გერმანია ნიადაგის გასანაყოფიერებლად ხმარობს, ვიტყვით მხოლოდ, რომ მესამედს მთელ დედამიწაზე მიწის გასასუქებლად დამზადებულ ნივთიერებისას მარტო გერმანია ხმარობს. სხვა სარგებლობასთან ერთად ამ საქმემ გააჩინა ახალი დარგი მრეწველობისა: დამზადება ნივთიერებათა, გადატან-გადმოტანა და სხვა. როგორც ვთქვით, მარტო გერმანია ერთ მილიარდ მანეთსა ჰხარჯავს ნიადაგის სასუქ ნივთიერებათა შესაძენად. მილიარდი კაი ფულია და ეს კარგი ფული ისევ გერმანელთა ჯიბეში ჩადის.

ახლა სამეურნეო იარაღი და მანქანები ავიღოთ. თანხა, რომელიც დღემდე გერმანიამ სამეურნეო იარაღებისა და მანქნების დამზადებას მოანდომა, $1^1/_2$ მილიარდ მანეთს უდრის· იშვიათია გერმანიაში ისეთი სოფლის მეურნე, რომელიც საუკეთესო მანქანებსა და იარაღს არა ჰხმარობდეს. სტატისტიკიდანა

თავდგირიძეს, შეიტყოს, რა მდგომარეობაშია საერო განათლების სამინისტროში წარდგენილი ქუთაისის შუამდგომლობა ქუთაისში მეორე საქალაქო სასწავლებლის დაარსების შესახებ.—უნდა გაიგოს აგრეთვე მართალია თუ არა გაზეთებში დაბეჭდილი ამბავი, ვითომ მთავრობას აზრადა ჰქონდეს ჩვენში უმაღლეს სატეხნიკო სასწავლებლის დაარსება.

— ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მეუღლეს ქ ნს სამაგინისას განუზრახავს დააარსოს ქუთაისში ყველასათვის ხელმისაწდომი საავადმყოფო. ამისათვის იგი სთხოვს ქალაქს დაუთმოს უსასყიდლოდ შენობის ასაგებად მესხეთის ქუჩის ნაპირზე მდებარე ღულაძისეული ადგილი, სადაც ეხლა ქალაქის მოედანია.

— ქალაქის უძრავ მამულების დამფასებელი კომისია გაცხარებულს მუშაობაშია, სცდილობს, ორს თვეში დაამთავროს მამულების შეფასება, რომ მომავალ წლიდან ახალ შეფასების მიხედვით შეაწეროს ქალაქმა სახლის პატრონთ გარდასახადი..

რუსეთის ქრონიკა

✦ სამკურნალო დეპარტამენტმა ფული გადასდო იმათ დასაჯილდოვებლად ან შემწეობის აღმოსაჩენად, ვინც სახალხო სამკურნალო წიგნაკებს გამოსცემს. ლაპარაკია აღძრული, რომ ამ საქმეში ქალაქისა და ერობის თვით-მმართველობანიც დააინტერესონ·

✦ რუსეთში არსებობს საკომერციო განათლების გამავრცელებელი საზოგადოება. როგორც „ნოვ. დნია“ გადმოგვცემს, ამ საზოგადოებას განუზრახავს დააარსოს ქალთათვის საკომერციო სასწავლებელი.

✦ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობამ მოიწადინა პეტერბურგის თვით-მმართველობაში ცვლილების მოხდენა. „პეტ. გაზ.“-ი იუწყება ეხლა, რომ ხმოსანთა მომავალ არჩევნების დროს, სახლის პატრონთ გარდა, ხმის უფლება მიეცემათ ბინის პატრონთა ერთს ნაწილსაცაო.

✦ ფინანსთა სამინისტროს პეტერბურგში სახაზინო არყის საწყობთან დაუარსებია საზოგადო განათლების კურსები მუშათათვის. კურსებზე ცხრა განყოფილებაა: ორი წერა-კითხვის მცოდნე კაცთა და ქალთათვის, ორი —წერა-კითხვის ცუდად მცოდნეთათვის და ხუთიც—წერა-კითხვის სულ არ მცოდნეთათვის. საზოგადო განათლების საგნებს გარდა ასწავლიან ხელოსნობასაც, ჰფიქრობენ, კვირაუქმეობით საუბრები გამართონ: წაიკითხავენ ადვილ-გასაგებ ლექციებს ფიზიკიდან, ქიმიიდან და სხვა საგნებიდან. მეცადინეობა საღამოობით იქნება 7 დან 10-საათამდე. მიიწვიეს ცხრა მასწავლებელი ქალი. კურსებზე ჩაეწერა ჯერ-ჯერობით 200 კაცი.

✦ პეტერბურგის ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა მომავალ 1903 წლის შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა. სულ შემოსავალი ქალაქს ექნება 27,803,000 მანეთი, ხარჯი—27,453,000 მანეთი. დასაფასებელ-გადასახადის შემოსავალი ნავარაუდევია—4,500,000 მან. ქალაქის მოწყობა-მოღამაზებისათვის გადადებულია 7,790,000 მან., სწავლა-განათლებისათვის—1,563,000 მან.

ფოთის ქალაქის საბჭო

10 სექტემბერს

ოქმის წაკითხვის შემდეგ თავმჯდომარემ, ქალაქის თავმა, ნ. ნიკოლაძემ მოახსენა კრებას: „სრული ათი წელიწადია, რაც ფინანსთა მინისტრი ს. ი. ვიტტე სახელმწიფო საფინანსო სარბიელზე მხნედ მოღვაწეობს. დღეს მისი ნაყოფიერი შრომა თვალსაჩინო შეიქმნა ყველა სახელმწიფოსა და კაცობრიობისათვის, რადგან იგი აგებულია ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე. დიდი დახმარება და თანაგრძნობა მიუძღვის მას ფოთის ნავთ-სადგურის გაკეთების საქმეში იმ დროს, როდესაც იმპერიაში საფინანსო კრიზისი ჰსუფევდა. ფინანსთა მინისტრმა ყოველთვის შეიწყნარა ჩვენი შუამდგომლობა და დახმარება აღმითქვა ქალაქის საჭირ-ბოროტო საქმეებში, როდესაც მე მას პირადათ მოველაპარაკე. ამისათვის საჭიროა ფინანსთა მინისტრს ტელეგრამით მივულოცოთ მისი ათი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობა და, რომ უფრო სახსოვრად აღინიშნოს ეს გარემოება, ნავთ-სადგურის ნაპირა ქუჩას მისი სახელი ეწოდოს“.

მცირე თათბირის შემდეგ საბჭომ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და ერთ ხმად დაადგინა: დაერქვას ფინანსთა მინისტრის ვიტტეს სახელი ნავთ-სადგურის ჩრდილოეთის ხანდაკთან ახლად გაფართოებულ ქუჩას.

საბჭომ განიხილა განცხადება ნავთ-სადგურის ამშენებელ მოიჯადრეთა იმის შესახებ, რომ პორტში მიწის ამოსათხრელი ვადა მეტი მიეცათ, რადგან ამ მუშაობის შესრულება მოუხერხებელია მანამდის, სანამ ძველს პორტში შემოსასვლელი კარები დაიხურებოდეს, იმიტომ რომ ზღვის მღელვარე ტალღებს შეუძლია ხანდაკს ძირი გამოუთხაროს. კრებამ მიიღო ეს წინადადება.

თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაამტკიცა დედათა პროგიმნაზიის სამზრუნველო კომიტეტის წევრებათ ის პირნი, რომელნიც საბჭომ აარჩია წევრებათ კრებაზე 4 ივლისს. ამასთანავე აუწყა და მიულოცა საბჭოს, რომ 7 სექტემბერს გაიხსნა და კურთხევა მოხდა ფოთში პირველ საშუალო სასწავლებლის: დედათა პროგიმნაზიისა.

საბჭომ მოისმინა მიხეილის საზღვაოსნო სასწავლებლის კომიტეტის თავმჯდომარის თავ. ვ. აბაშიძის ქაღალდი იმის შესახებ, რომ კომიტეტის წევრის სერგეენკოს ნაცვლად სხვა აერჩიათ. საბჭომ ხსენებულ კომიტეტის წევრად კენჭის ყრით ადგილობრივ ხაზინის კასირი პ. ნამჩენკო აარჩია.

ი. იანეთელი

წერილი სამეგრელოდან

გულეიკარის საზოგადოების გაჭირვება.—წყალდიდობა.—გადასახადები და მალიარია.—„დამბას“ გაკეთების საჭიროება

ეს საზოგადოება სამეგრელოს ნაწილია; მდებარეობს იგი მდ. რიონის მარჯვენა ნაპირას გურიის საზღვარზე. ხუთი სოფელი: თვით-გულეიკარი, კოდორი, კეთილარი, ქორცის უბანი და ტოლეფი (გურიის ნაწილია, სიახლოვის გამო მიწერილია ამ საზოგადოებაზე) შეადგენენ გულეიკარის საზოგადოებას. აქ სცხოვრობენ აზნაურნი, სასულიერო პირნი და გლეხნი. ადგილ-მამული საზოგადოებას საკმაო აქვს, ამასთან დიდად ნოყიერი და მოსავლიანი. 1895 წლამდე ჩვენი საზოგადოება კარგ ყოფაში იყო, მაგრამ მას შემდეგ იმისი კეთილ-დღეობა უკან-უკან მიდის და ხალხის ავლა-დიდება თან-და-თან კლებულობს.

1895 წლამდის გულეიკარის საზოგადოებას ბადალი არ ჰყავდა სენაკის მაზრაში როგორც მოსავლიანის ადგილ-მამულით, ისე ხალხის სიმდიდრით. მცხოვრებთ არ აშინებდა არავითარი გადასახადი, არავითარი საზოგადო და კერძო მოთხოვნილება. ერთის სიტყვით, იგი ჭირსა და ლხინში წელ გამართული იყო. ასევე შეძლებულნი იყვნენ მახლობლად მდებარე სოფლებიც (ორი სამი საზოგადოება), დაწყებული დაბა აბაშის რკინის გზის სადგურიდან მდინარე რიონამდე (6 ვერსია).

1895 წლიდან გულეიკარის საზოგადოებას შავი დღეები დაუდგა. იმისი ბედ-იღბლის ჩარხი უკუღმა დატრიალდა. ყოველ წლობით 1895—1902 წლ.) აპრილსა და მაისში, როცა მუშა ხალხი გაცხარებულ ხვნა-თესვაშია, მდ. რიონი გადმოდის ნაპირებიდან, ედება სოფლებს, ერთიანად ჰლეკავს და ღუპავს ყანებს. წყალ-დიდობა გრძელდება ხუთ ექვს დღეს. მაგრამ სულ ცოტა, ერთი თვე მაინც არის საჭირო, რომ ნიადაგი გაშრეს და გლეხმა ხელ-ახლა მოჰკიდოს ხელი ხვნა-თესვას. ეხლა გლეხი სიმინდს სთესავს მაშინ, როცა წინად სთოხნიდა ხოლმე. მაინც იგი იმედს არა ჰკარგავს და ხელმეორედ თავგანწირვით იწყებს ხვნა-თესვას. თუ ნამუშავარმა კარგი პირი იჩინა, ხალხი, გულგამაგრებული და დაიმედებული, მარგვლას ათავებს ივლისის დამლევს; ხოლო მეორე თოხნის დრო იწყება აგვისტოს თხუთმეტიდან (წარსულ წლებში კი ამ დროს მეორე თოხნი გათავებული იყო და მუშა ხალხი ტყეში იყო გასული შეშის მოსატანად). ბოლოს დაგვიანებული სიმინდი შემოდის და ხალხი დაიმედებული ემზადება მოსაჭრელად. მაგრამ იმედი მალე უცრუვდება. დაეშვება კოკის პირული წვიმა, ხელ-ახლა ადიდდება მდ. რიონი და „დამწვარს მდუღარე ესხმება“ ზედ. ადიდებული წყალი იტაცებს როგორც მოტეხილ სიმინდს, ისე უკვე შეგროვილს. გულეიკარის საზოგადოება და იმასთან ერთად რამოდენიმე სხვა სოფელი ცარიელ-ტარიელი და პირში ჩალა-გამოვლებული რჩება. ასეთი უბედურება ემართებათ სოფლელებს 1892 წლის შემდეგ თითქმის ყოველ წელიწადს.

საცოდავ სურათს წარმოადგენს ამ წყალდიდობის დროს სამი ოთხი სოფელი გულეიკარის საზოგადოებისა (კოდორი, კეთილარი, გულეიკარი და სხვ.). ყველას მოგეხსენებათ, რომ სოფლებში უმეტეს ნაწილად დაბალი სახლებია, სადაც ხის იატაკის მაგივრად მიწის იატაკი აქვთ. რა თქმა უნდა, ამ ნაირ სახლებს და დაბალ-ოდებს წყალი ადვილად ეწვევა ხოლმე. წყლით ივსება გზები და ეზოები, რის გამო ნავებით უხდებათ სიარული. ვინ იცის, ამ დროს რამდენი შინაური ცხოველი—ფრინველი და ავეჯი იღუპება. სახლის პატრონები, გარედ გამოსვლას რომ ვერ ასწრებენ, იძულებულნი არიან ავიდნენ ზევით ჭერზე და ორი-სამი დღე იქ დაჰყონ. აქეთ-იქიდან განუწყვეტელი წივილ-კივილი გაისმის; გაიძახიან „ვინა ხართ ქრისტიანი, მიშველეთ, ვიღუპებით“. ამ ხუთი-ექვსი წლის განმავლობაში ეს საზოგადოება მდ. რიონმა საშინლად დაალარიბა და დააშინა, ისე რომ ცოტაოდენი ადიდება ამ მდინარისა ხალხს სასოწარკვეთილებაში აგდებს. ხალხი ისე დაეცა ქონებრივად, რომ ვეღარ ახერხებს გადასახადის გადახდას და ხარჯის გაძღოლას. წელს, მაგალითად, მცხოვრებთა ნახევარს საჭმელი სიმინდი არა აქვს.

1895 წლიდან 1902 წლამდე თვითეულ კომლზე გარდასახადი ხუთ-ექვს თუმნამდე ავიდა. რადგანაც ეს ისე მძიმე ტვირთია, რომლის ატანა შეუძლებელია, საზოგადოებამ სთხოვა მთავრობას, რომ გარდასახადი ცოტა მაინც შეემცირებინა. უმაღლესმა მთავრობამ შეიწყნარა ეს თხოვნა და აპატივა თითქმის ნახევარი, ასე რომ თვითეულ კომლზე დარჩა სამი-ოთხი თუმანი. დადგა დროც ამ დარჩენილ და მდგომარე წლის ფულის გარდახდისა. მამასახლისმა დაიწყო ფულის შეკრება. გამოაქვთ სახლიდან ყველაფერი: სტოლი, სკამი და სხვა და საჯარო ვაჭრობით ჰყიდიან.

ამ სიღარიბესა და უბედურებას 1895 წლიდან მალარიაც ზედ დაერთო. სოფ. კოდორში 1895 წელს 110—120 კომლი იყო, ახლა 60—80 კომლი ძლივს-დაა. სხვა სოფლებშიაც ასეა: მალარია და სხვა სენი მუსრს ავლებს მცხოვრებთ.

ასე უკუღმა დააბრუნა მდ. რიონის ადიდებამ გულეიკარის საზოგადოების ბედ-იღბალი. დიდი ანჯელი, კოდორი და სხვა ადგილ-მამულები წინად „ბოღაზად“ იწოდებოდა, დღეს-კი ხალხი გაურბის ამ ადგილებს. ბევრჯელ ჰქონდათ სჯაბაასი მდ. რიონის გამაგრებაზე. ერთხანად გადასწყვიტეს „დამბა“ გაეკეთებინათ. უნდა ამოედოთ მიწა სოფ. გულეიკარიდან დაწყებული (რიონის პირით) კოდორის სათავემდე. რადგანაც საზოგადოებამ „დამბის“ გაკეთება ვერ შესძლო თავის ხარჯით, აუწყა მთავრობას თავისი აზრი და სთხოვა, ხაზინის ხარჯით გაეკეთებინათ დამბა, მაგრამ აგერ ორი-სამი წელიწადია მას შემდეგ და პასუხი-კი ჯერაც არაფერია.

ლავრენტი ფირცხალავა

სასამართლო

I

ორშაბათს, 9 სექტემბერს, ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ განიხილა საქმე გორის მაზრის მცხოვრებთა ოთარ თედეშვილისა, ივანე ჯუსოშვილისა, ივანე, პეტრე, ქარუმ, ანზორ და ალექსანდრე არბოლიშვილე-

---

სჩანს, რომ მიწას მანქანებით ამუშავებს როგორც მსხვილი და საშუალო, ისე წვრილი მეურნე. პირველთაგან მანქანებს ხმარობს 94%, ხოლო მეორეთაგან—79%.

რა შედეგი მოჰყვა ნიადაგის გასუქება-განაყოფიერებასა და მანქანების ხმარებას?

ერთი ხუთად და ათად იმატა სოფლის ნაწარმოებთა რაოდენობამ. წელიწადში გერმანიის სასოფლო-მეურნეობა იძლევა:

პურს, ქერს, კარტოფილს და სხვას	1,979	მილ. მარკისას
ძროხის, ღორის, ცხვრისა და სხვ. ხორცს	2,115	„ „
რძეს, ყველს და სხვას .	1,625	„ „
შაქარს, სპირტს, მატყლს და სხ.	695	„ „
ფრინველს, ბუმბულს და სხ.	483	„ „
ცხენს	80	„ „
ღვინოს	110	„ „
ხილსა და მწვანილს . .	380	„ „
ხე-ტყეს	545	„ „
სულ	8,012	მილ. მარკისას.

ე. ი. სასოფლო მეურნეობა ოთხ მილიარდ მანეთზე მეტს იძლევა. ციფირი დიდია, მაგრამ თავის-და თავად მკითხველი ვერაფერს გაიგებს, თუ გერმანიის მეურნეობას სხვა ქვეყნებისას არ შევადარებთ. ავიღოთ რუსეთი.

როგორც თვით ფინანსთა სამინისტრომ გამოიანგარიშა, რუსეთის სასოფლო მეურნეობა წელიწადში $1^{1}/_{2}$ მილიარდ მანეთის ნაწარმოებს იძლევა, ე. ი. ორჯელ უფრო ნაკლებს, ვიდრე გერმანიისა. უმთავრესი ის არის, რომ გერმანია მიწა-ადგილის რაოდენობით ორ რუსულ გუბერნიას უდრის, მაშასადამე ორ გუბერნიის ტოლა ადგილზე გერმანიის სასოფლო-მეურნეობას ორჯელ იმაზე მეტი ნაწარმოები მოჰყავს, რაც რუსეთის მეურნეობის უზარ-მაზარ ადგილზე. თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რომ გერმანიაში სასოფლო-მეურნეობას 20 მილიონი სული მისდევს, ხოლო რუსეთში—100 მილიონი, გამოვა, რომ გერმანიის მიწათ-მოქმედება ათჯერ მეტს ნაწარმოებს ამზადებს, ვიდრე რუსეთისა.

ყველაზე საყურადღებო გერმანიაში მოსავლის სიდიდეა. საჭიროდ მიგვაჩნია მოვიხსენიოთ, რომ ბუნებამ გერმანიის ნიადაგი ისე უხვად არ დააჯილდოვა, როგორც, მაგალითად, რუსეთისა, საფრანგეთისა ან სხვა რომელისამე მიწათ-მომქმედ სახელმწიფოსი. თავის-და თავად ნიადაგი გერმანიაში მწირია, ღარიბი. მაგრამ შრომისა და მეცნიერების მეოხებით ამ მწირ ნიადაგზე გერმანელებს უფრო დიდი მოსავალი მოჰყავთ, ვიდრე სხვებს მდიდარ და ნაყოფიერ ნიადაგზე. უბედურებად და მოუსავლობად ჩასთვლის გერმანელი, რომ ქვიშიან ან ქაობიან ადგილზედ ისეთი მოსავალი მოუვიდეს, როგორიც, მაგალითად, რუსეთსა, კანადასა ან არგენტინაში მოდის კარგ წელიწადს კარგ მსუქან ადგილზე.

მოსავლის სიდიდით გერმანიას ვერც ერთი კუთხე ევროპისა ვერ შეედრება. საფრანგეთში მიწათ-მოქმედება ძალიანაა განვითარებული, მაგრამ გერმანიამ იმასაც გაუსწრო. თუმცა ნიადაგი საფრანგეთში ბევრად უფრო მდიდარი და კარგია, მაგრამ მოსავალი გერმანელებს უფრო დიდი მოჰყავთ, ვიდრე ფრანგებს. ერთ დესეტინა ადგილზე მოჰყავთ:

	გერმანელებს:	ფრანგებს:
პური	116 ფუთი	86 ფუთი
ქერი	111 „	79 „
ქვავი	94 „	75 „
შვრია . . .	102 „	71 „

ამ რიგად გერმანიის მოსავალი ერთი მესამედით მეტს იძლევა, ვიდრე საფრანგეთისა. თუ რუსეთს ავიღებთ, გერმანიის მეურნეობის წარმატება უფრო თვალ-საჩინო შეიქმნება: ერთ დესეტინა ადგილზე გერმანელს იმდენი მოჰყავს, რაც რუსს სამ დესეტინაზე. ეს პური, ქერი, ქვავი და შვრია. კართოფილსა და ჭარხალს (შაქრისთვის) თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ მოსავალი უფრო დიდი იქნება. ერთ დესეტინაზე ორთა შუა რიცხვით გერმანელს მოჰყავს 800 ფუთი კარტოფილი (საფრანგეთში 530 ფუთი) და იმდენი ჭარხალი, რომ 196 ფუთი შაქარი მზადდება.

ამის შემდეგ მკითხველი, ეჭვი არ არის, იტყვის, თუ ასეა, გერმანიას რატომ საკუთარი მოსავალი არა ჰყოფნის და რად უხდება სხვა ქვეყნებიდან პურის შეტანაო.

ჯერ ერთი,—გერმანიაში ყველანი არ მისდევენ სასოფლო-მეურნეობას: 54 მილიონიდან მიწათ-მომქმედი მხოლოდ 20 მილიონია. მეორე—ყველგან გერმანიაში სასოფლო-მეურნეობა ერთ-ნაირ წარმატებაში არ არის და მცენარე ერთნაირ მოსავალს არ იძლევა: საქსონიაში ორთა შუა რიცხვით დესეტინა 170 ფუთს პურს იძლევა, სამაგიეროდ პოზნანში ასსაც არ იძლევა. მესამე—მოთხოვნილება და კვება დიდია. მეოთხე—ძნელია ისეთ ქვეყნებთან მეტოქობა, სადაც დიდ-ძალი თავისუფალი ადგილია და სადაც მიწის დამუშავება იაფადა ჯდება. ასეთი ქვეყნებია შეერთებული შტატები, კანადა, ავსტრალია, სამხრეთი აფრიკა. მთელს გერმანიაში რომ ისეთი მოსავალი მოდიოდეს, როგორიც საქსონიაში მოდის, შეტანის მაგივრად გერმანიას პურის გატანა მოუხდებოდა. ასევე იქნებოდა, გერმანია რომ ისე მცირედ იკვებებოდეს, როგორც, მაგალითად, რუსეთი და ინდოეთი იკვებება. რუსეთს დღეს საზღვარ-გარეთ დიდ-ძალი პური გააქვს იმიტომ კი არა, რომ იგი მეტია, მოჭარბებული, არამედ იმიტომ, რომ თვით იკლებს და ნახევრად მშიერი რჩება.

ი. ა—ძე.

ბისა, სიმონ ტოსკაშვილისა, მიხეილ ჯაჯაშვილისა და თედო კოჩიშვილისა, რომელთაც ოლქის სასამართლოს გამმიჯვნელ საკრებულოს მიწის მზომელის მირაქოვისთვის სამსახურის ასრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებოდათ.

1900 წელს, 1 აგვისტოს, სოფელ საფალავანდიშვილოში მიწის მზომელი მირაქოვი მემამულე თავ. ფალავანდიშვილებსა და სხვებთან ერთად მისულა მიწის გასამიჯნავად. როცა ეს ამბავი შეუტყვიათ გლეხებს, შეკრებილან 200 კაცამდე და ნება არ მიუციათ მირაქოვისათვის, შესდგომოდა სადაო ადგილების მიჯნას იმ დრომდე, ვიდრე არ მოვიდოდა და მუშაობას არ დაესწრებოდა ხაზინის რწმუნებული. როდესაც ტყის ცამგეს ტეშუკს, მიწის მზომელს მირაქოვს და მემამულეთ— თავ. ფალავანდიშვილებს ვერაფერი გაუწყვიათ, ბოქაულის ავალიშვილის და ოქროისა და ყორნისის სოფლის საზოგადოებათა მამასახლისებისათვის მიუმართავთ და უთხოვნიათ განკარგულება მოეხდინათ, რომ მირაქოვისათვის გლეხებს ადგილების გასამიჯნავად მუშაობა არ დაეშალათ. ბოქაულსა და მამასახლისებსაც ვერაფერი გაუწყვიათ; ამიტომ მირაქოვს საქმისათვის თავი დაუნებებია და უთქვამს, მივდივარო. გლეხებს ეჭვი აუღიათ, აქედან თუ გაუშვით მიწის მზომელი, სხვა მხრიდან მოუვლის და დაუწყებს მიჯნას ადგილსაო; ამიტომ შემოჰხვევიან და სადამომდე ნება არ მიუციათ წასულიყო სადმე.

სასამართლოში ბრალდებულთ დამნაშავედ არ იცნეს თავი და განაცხადეს, რომ ჩვენ მიწის მზომელს ვთხოვეთ მხოლოდ მოეცადნა და მუშაობას არ შესდგომოდა ხაზინის რწმუნებულის მოსვლამდეო. დიდის ხნის თათბირის შემდეგ, სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იქმნენ ცნობილნი ბრალდებულნი და მიესაჯათ საპყრობილეში დაპატიმრება: ალექსანდრე არბოლიშვილს სამის დღით, ხოლო დანარჩენთ შვიდ-შვიდის დღით.

II

ივანე ვანიშვილისა და გიორგი ლოტოშვილის საქმე

10 სექტემბერს ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიამ გორში განიხილა საქმე ზუზუმანის ქარხნის მუშების ვანიშვილისა და ლოტოშვილისა. აი, საბრალმდებლო ოქმი რას გადმოგვცემს ამ საქმის შესახებ.

ამა მიმდინარე წლის 5 თებერვალს გორის მაზრაში ზუზუმანის ქარხნის მუშებს მუშაობა აუკვეთიათ და უთქვამთ, სასყიდელს ცოტას გვიდებთო. რადგანაც ქარხნის პატრონს ვერაფერი გაუწყვია, ეს ამბავი უცნობებია ბოქაულის გოგოხიასათვის და დახმარება უთხოვნია. ბოქაულს ქარხანაში გაუგზავნია ორი დარაჯი ვასილჩენკო და კუდუხაშვილი. როდესაც მუშებს შეუმჩნევიათ ქარხანაში „სტრაჟნიკები“, მოუთხოვიათ ქარხნიდან იმათი წასვლა. ერთი მუშა, გიორგი ლოტოშვილი, მიჰვარდნია „სტრაჟნიკს“ კუდუხაშვილს და წაუქცევია, ხოლო მეორე მუშა, ივანე ვანიშვილი, ვასილჩენკოს სცემია. ბოლოს დარაჯნი გაქცეულან ქარხნიდან. ამ საქმის გამო პასუხისგებაში მიცემულ იქმნენ ივანე ვანიშვილი და გიორგი ლოტოშვილი. სასამართლომ, მცირე თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც დამნაშავედ იცნო ბრალდებულნი ვანიშვილი და ლოტოშვილი და გადაუწყვიტა მათ ორ-ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

III

გიორგი ხუციშვილის საქმე

გუშინ, 12 სექტემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა საქმე სურამის მომრიგებელ მოსამართლის მდივნის თანაშემწედ ნამყოფის გიორგი ხუციშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ის, რომ: 1) ამ ერთის წლის წინად სურამში ერთ მომჩივანს, გვარად მაისურაძეს, 200 მან. გამოართვა მოსამართლისათვის გადასაცემად, 100 მან. თვითონ მიითვისა და 100 მან. მომრიგებელ-მოსამართლეს მიუტანა და 2) შარშან ოლქის სასამართლოს სესსიას გორში კანცელარიიდან მოჰპარა ის საქმე, რომლითაც იგი პირველ დანაშაულობისათვის პასუხის-გებაში იქმნა მიცემული. როდესაც ოლქის სასამართლოს ორივე ეს საქმე განუხილავს, გადაუწყვეტია ხუციშვილისათვის: პირველ დანაშაულობისათვის ყოველივე განსაკუთრებულ უფლების ჩამორთმევა და ერთის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა, ხოლო მეორესათვის—$1^{1}/_{2}$ წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

პალატაში ბრალდებულს ხუციშვილს იცავდა ნაფიცი ვექილი დ. ს. სტალინსკი. ხუციშვილმა დამნაშავედ აღიარა თავი პირველ ბრალდებაში, ხოლო მეორის შესახებ განაცხადა, არა ვარ დამნაშავე, რადგანაც საქმე არ მომიპარავსო. პალატამ, თითქმის ერთი საათის თათბირის შემდეგ, გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ხუციშვილი დამნაშავედ იცნო ორსავე ბრალდებაში და დაამტკიცა ოლქის სასამართლოს ორივე განაჩენი. პალატამ ამასთან გადაწყვიტა, ორსავე დანაშაულობისათვის ერთად ჩამოერთვას ხუციშვილს ყოველივე განსაკუთრებული უფლება-უპირატესობა და გაიგზავნოს პატიმართა-გამასწორებელ რაზმში $1^{1}/_{2}$ წლით.

* * *

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 სექტემბერი

სოფია. მაკედონიიდან მოსულის ცნობებიდან სჩანს, რომ მოძრაობა ძლიერდება. რამდენსამე ადგილს ტელეგრაფი და რკინის გზის ლიანდაგი გაუფუჭებიათ.

ბელგრადი. ნოვო-ბაზარის სანჯაყიდან სერბიის კაპაონიკის მთებში ალბანელნი შემოცვივდნენ; ოსმალეთისა და სერბიის საზღვრებიდან სამის საათის მანძილზე გაძარცვეს სერბიელი მეურმეები და დასტაცეს ხარები და ურმები. ორი მეურმე მოჰკლეს, სამი თან წაიყვანეს. დარაჯები რომ დაედევნენ—მიიმალნენ.

კონსტანტინეპოლი (დაგვიანებულია). ოსმალეთის მთავრობამ გამოაცხადა, შიპკაზედ განზრახული დღესასწაულები ოსმალებს აღელვებსო. რუსეთის მთავრობამ შეუთვალა, რომ დღესასწაულებს მხოლოდ სამხედრო იუბილეს მნიშვნელობა აქვს და არავითარ პოლიტიკურ დემონსტრაციას ადგილი არ ექმნებაო. გამართლდა ის ამბავი, რომ შიპკის დღესასწაულების შემდეგ, კონსტანტინეპოლს მივა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ადმირალი ტირტოვიკი იქ არ წავა.

ამსტერდამი. ბურთა გენერლებმა მოწოდება გამოსცეს, სადაც აცხადებენ, რომ იმათ ვერ მოახერხეს ინგლისისაგან შემწეობა მიეღოთ ბურთა რესპუბლიკებში გამოუთქმელის გაჭირვების დახმარებისათვის. ამიტომაც ევროპასა და ამერიკას უნდა მიჰმართონ. მოწოდებაში დასახელებულნი არიან ქვრივ-ობლები, დაჭრილნი, გაჭირვებულნი და უმაწვილები და მხოლოდ ამათ დახმარების საღსარს გამოითხოვენ.

ბრესტი. ნაღმის მატარებელი გემი დაეტაკა რუსეთის საომარ გემის „კრეისერ“-ის უფროსის ნავს, რომელსაც ბოლო დაემსხვრა. სამი რუსი—მეზღვაური ზღვაში გადაცვივდა, მაგრამ ნაღმის გემის მოსამსახურეებმა ჩქარა ამოიყვანეს და უვნებლად გადაარჩინეს.

პეკინი. გერმანიის ესკადრის უფროსი ტეისლერი და გერმანიის საქმეთა ვექილი ფონ-დერ-ჰოლცი მიიღეს სანახავად იმპერატორმა და დედოფალმა და საკმაოდ კარგადაც მიიღეს. დედოფალი დიდ-ხანს ელაპარაკებოდა სტუმრებს და ბოლოს იმის სურვილიც გამოსთქვა, რომ გერმანიის იმპერატორთან კეთილი განწყობილება მსურს მქონდესო.

კონსტანტინეპოლი. გუშინ-წინ მინისტრთა კრება იყო. რუვიეს წინადადება მიიღეს და დაადგინეს, ვსთხოვთ სულთანს დაამტკიცოს იგიო.

ლიბავა (დაგვიანებულია). ხელმწიფე მემკვიდრე მიხეილ ალექსანდრეს ძე დილის 9 საათს საკუთარის გემით „ზარნიცა“-თი დანიას გაემგზავრა.

პეტერბურგი. დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე მეუღლითურთ 11 სექტემბერს სამზღვარ გარეთიდან მოვიდა.

12 სექტემბერი

ბაქო. შაჰი 11 სექტემბერს უნდა გამგზავრებულიყო, მაგრამ, რადგან ცოტა უქეიფოდ შეიქმნა, მისი ბაქოდან წასვლა გადაიდო.

მენზელინსკი. 11 სექტემბერს ერობისა და ქალაქის წარმომადგენელთა დასწრებით გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

სოფია. დაატუსაღეს გენერალი ცონჩევი, რომელიც მთავრობის დაუკითხავად აქ მოვიდა.

პეკინი. მეფის მოადგილე ცენგმა გვარდიის ორის ტალიონით ჩენგ-ფუსთან მოკრივენი დაამარცხა. ჩინეთის გარეშე საქმეთა უწყება აცხადებს, რომ აჯანყებულნი მაინცა და მაინც დიდ წინააღმდეგობას არ უწევენ ჯარებს.

პარიზი. ბოლგარიის სესხზე ხელის მოწერამ ორჯელ მეტი შემოიტანა, ვიდრე საჭირო იყო.

პეტერბურგი. უმაღლეს სასწავლებლების რეფორმისათვის დაინიშნა ზენგერის თავმჯდომარეობით განსაკუთრებული კომისია; მონაწილეობას მიიღებენ უმაღლეს სასწავლებელთა, სამინისტროთა და იმ უწყებათა წარმომადგენელნი, რომელნიც განაგებენ უმაღლეს სასწავლებლებს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.). 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. 1(ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (ს. 28 წ.)

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 0 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დღის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5. ამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—დამი-10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპნისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
ამით უცხადებს სახლის პატრონთ, რომ ქუჩებში დარგული ხეები ქალაქის საკუთრებაა და ამიტომ არავის მათგანს ნება არა აქვს მოსჭრას ხე გამგეობის დაუკითხავად და ნება დაურთველად; წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავენი სასამართლოში იქნებიან მიცემულნი. (ნ. 3—3)

სპეციალურად ბუხჰალტერიის კურსებ
დამთავრებული,
ქალაქ პეტერბურგში
ემებს შესაფერ ადგილს.
პირობა მსურველთ ვსთხოვთ წერილით გვაცნობონ.
ადრესი: ტფილისი, ანტონოვის ქუჩა, № 23 ბუხჰალტერს. (3—402—3)

საჭიროა
ქალი
ხოლო ქართული ენის მცოდნე, პატარა ბავშვების მოსავლელათ.
ადრესი: იზმაილოვის ქ. № 5 ბექთაბეგოვის სახლი. (3—403—2)

ზის
ნახშირის საწყობი
იაგორ მამინაიშვილისა
(საკუთარი ტყიდან)
გვრის მოედანზე, ყაფანთან
ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი ნახშირი.
შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.).
ტელეფონი № 754 (წ.).

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში
და
სახელოსნო სკოლაში
იღებენ ყოველ გვარ ხელსაქმეს: კაბებს როგორც დიდებისას, აგრეთვე ბავშვებისას, თეთრეულს, ქარგვას, სხვა-და-სხვა ხელოვნურ ხელსაქმეს და საცვლებზე ამოჰკერვენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა № 12.

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფილი სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო
(მუხრანიანთ ქუჩიდან) და
მაღაზია
(სასახლის ქუჩიდან)
გადავიდა ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინის პროსპექტის ახლო), ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Товарищество фармацевтовъ, ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ, фармацевтика. (0—18)
ტელეფონი № 741.

დიდი მარაგი მუდამ
ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული
[illegible] 1901 წლის [illegible] გამოფენა
ფაბრიკა და საცინკო ქარხანა
ი. შელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.
პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.
პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.
ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში გ. მულიარსკი
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში ვ. პილაძე (50—21)
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)
დიდხანს გამძლეობა და იაფი სახურავი
[illegible]

Дозв. ценз. Тифлисъ, 12 Сентября, 1902 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).